



TEMPUS TN_QA ფარგლებში შემუშავებული: სომხეთსა და საქართველოში ტრანსნაციონალური განათლების ხარისხისა და აღიარების ხელშეწყობა

სომხეთსა და საქართველოში ტრანსნაციონალური უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის, კრიტერიუმებისა და პროცედურების შემუშავების სახელმძღვანელო პრინციპები

შინაარსი

აღმასრულებელი მენეჯმენტის გუნდის მიმართვა	3
წინასიტყვაობა	8
I. პროექტის შესავალი და მისი მეთოდოლოგია	9
II. ტრანსნაციონალური უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა	12
1. პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპები სამთავრობო დონეზე	12
2. პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დონეზე	16
3. პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპები სტუდენტური ორგანიზაციებისათვის	19
4. პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპები ხარისხის უზრუნველყოფის ორგანიზაციებისათვის	21
5. პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპები აკადემიური აღიარების ორგანიზაციებისათვის	24
6. პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპები პროფესიული ორგანიზაციებისათვის	26
III. ტრანსნაციონალური განათლების ხარისხის უზრუნველყოფის კრიტერიუმები	27
1. შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კრიტერიუმები ტრანსნაციონალური უმაღლესი განათლების პროვაიდერებისათვის	27
2. გარე ხარისხის უზრუნველყოფის კრიტერიუმები ტრანსნაციონალური უმაღლესი განათლების პროვაიდერებისათვის	28
3. ტრანსნაციონალური გარე ხარისხის უზრუნველყოფის პროვაიდერების აღიარების კრიტერიუმები	45
IV. ტრანსნაციონალური განათლების ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურა	47
1. ტრანსნაციონალური უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სომხეთის პროცედურა	47
2. ტრანსნაციონალური უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის საქართველოს პროცედურა	50
3. ტრანსნაციონალური გარე ხარისხის უზრუნველყოფის პროვაიდერების აღიარების პროცედურა	53
4. მინიჭებული ტრანსნაციონალური კვალიფიკაციის აკადემიური აღიარების პროცედურა	54

ეს პროექტ დფინანსებულია ევროკომისიის მხარდაჭერით. ეს გამოცემა ასახავს მხოლოდ ავტორის შეხედულებებს და კომისია ვერ იქნება პასუხისმგებელ მასში გადმოცემული ინფორმაციით სარგებლობაზე.

აღმასრულებელი მენეჯმენტის გუნდის მიმართვა

ძვირფასო მკითხველო,

„საქართველოსა და სომხეთში ტრანსნაციონალური განათლების ხარისხისა და აღიარების მხარდაჭერა“ (TNE_QA) ევროპის კომისიის მიერ ტემპუსის ინიციატივის ფარგლებში დაფინანსებული ოთხ წლიანი პროექტია (2013-2017).

ფრანგულ უნივერსიტეტს სომხეთში პატივი ერგო მოეხდინა კოორდინირება პროექტისა, რომლის ძირითადი იდეა იყო სომხეთისა და საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემების კომპეტენციის გაფართოვება ტრანსნაციონალური პროვაიდერების ხარისხის უზრუნველყოფის ეფექტური მიწოდების კუთხით როგორც ინსტიტუციურ, ისე ეროვნულ დონეზე, ევროპული გამოცდილების შესწავლითა და UNESCO/OECD-ს „საზღვარგარეთის ქვეყნების უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო პრინციპების“ გაზიარებით.

პროექტის დამაგვირგვინებელს წარმოადგენს „საქართველოსა და სომხეთში ტრანსნაციონალური უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის, კრიტერიუმებისა და პროცედურების შემუშავების სახელმძღვანელო პრინციპები“, რომლის მიზანია დაეხმაროს დაინტერესებულ პირებს ხარისხის გაუმჯობესებაში და ხელი შეუწყოს სომხეთსა და საქართველოში ტრანსნაციონალური უმაღლესი განათლების მიწოდების რეგულირებასა და აღიარებაში. იგი მიზნად ისახავს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ჩამოსაყალიბებაში ოთხი წლის განმავლობაში დაგროვილი გამოცდილების გაზიარებას UNESCO/OECD სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად. იგი ეხმარება უმაღლესი განათლების სფეროში პოლიტიკური გადაწყვეტილების მიმღებებსა და დაინტერესებულ მხარეებს ტრანსნაციონალური მიმწოდებლების ხარისხის უზრუნველყოფის შემდგომ განავითარებაში პოსტსაბჭოთა უმაღლესი განათლების კონტექტში.

პროექტის მიღწევები შეუძლებელი იქნებოდა პროექტის კონსორციუმში ჩართული ინსტიტუციებისა და კოლეგების დახმარებისა და მხარდაჭერის გარეშე. გვსურს გულწრფელი მადლობა მოვუხადოთ ყოველ მათგანს მთელი პროექტის განმავლობაში შეტანილი ფასდაუდებელი წვლილის, გულითადი თანამშრომლობისა და კონსტრუქციული კრიტიკისათვის.

გვსურს გამოვთქვათ ჩვენი განსაკუთრებული მადლიერება სამუშაო ჯგუფების ლიდერებისადმი. მადლობას ვუხდით პროექტში ჩართულ შემდეგ ადამიანებს პროექტის შედეგების მიღწევაში მათი ფასდაუდებელი წვლილისათვის: დოქტორ ანკა გრეერს (უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტო, გაერთიანებული სამეფო), დოქტორ კრისტოფ ტერასს (მართვის განვითარების ევროპული ფონდი, ბელგია), ქ-ნ მიქაელა მარტინს (იუნესკოს განათლების დაგეგმვის საერთაშორისო ინსტიტუტი, საფრანგეთი), ქ-ნ მაია გელაშვილს (განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, საქართველო) და ბ-ნ რუბენ ტოფჩიანს (პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ფონდის ეროვნული ცენტრი, სომხეთი).

მადლობას ვუხდით ევროპის კომისიას და განსაკუთრებით, ევროკომისიის განათლების, აუდიოვიზუალური და კულტურის აღმასრულებელ სააგენტოს (EACEA) ამ პროექტის განხორციელების შესაძლებლობისათვის. EACEA-ს გუნდის მიერ გაწეულმა დახმარებამ, სომხურმა და ქართულმა ეროვნულმა ერაზმუს+ ოფისებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ჩვენი პროექტის დანერგვასა და ეფექტურ მართვაში.

არაიკ ნავოიანი (PhD)

TNE_QA პროექტის კოორდინატორი, სომხეთში ფრანგული უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი

ძვირფასო კოლეგებო,

TNE_QA წარმოადგენს სომხეთის, საქართველოსა და ევროკავშირის უმაღლესი განათლების მოაზროვნე ლიდერების საერთო მონაპოვარს რეგიონში ტრანსნაციონალური განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ახალ დონეზე ასაყვანად საერთაშორისო ტენდენციებისა და აღიარებული სტანდარტების შესაბამისად. გზამკვლევად გუნდმა გამოიყენა UNESCO/OECD საზღვარგარეთის ქვეყნების უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო პრინციპები (2005), რომლის მიზანია სომხეთსა და საქართველოში ხარისხის

უზრუნველყოფის სისტემების ჩამოყალიბება საზღვარგარეთის პროვაიდერების მიერ მოწოდებული უმაღლესი განათლების ხარისხის შენარჩუნების პირობებში.

TNE_QA წარმოადგენს სომხეთისა და საქართველოს მიერ საზღვარგარეთული ხარისხის უზრუნველყოფისა და მათი ეროვნულ სტრატეგიებთან თანხვედრაში მოსაყვანად გადადგმულ ერთ-ერთ მთავარ ნაბიჯს. პროექტი ხელს უწყობს უმაღლესი განათლების სისტემების ახალ სიმაღლეებზე აყვანას ეროვნულ, რეგიონალურ და საერთაშორისო დონეებზე. პროექტმა მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი პოსტსაბჭოთა კონტექსტში ტრანსნაციონალური განათლების მიმწოდებლების არსებული მდგომარეობის გადახედვას, გამოწვევების სირღმისეულ შეფასებას და არსებული სისტემის თავსობადობის შეფასებას სასურველ სისტემასთან შედარებით, ძირითადი ხარვეზების ამოვსებას და საბოლოო ჯამში რეკომენდაციების მიღებას საქართველოსა და სომხეთის ხელისუფლების მიმართ ტრანსნაციონალური განათლების ხარისხის უზრუნველყოფისა და მინიჭებული კვალიფიკაციების აღიარებასთან დაკავშირებით გადასადგმელ შემდგომ ნაბიჯებთან დაკავშირებით.

პროექტის ოთხწლიანი მსვლელობა სავსე იყო სომხეთსა და საქართველოში ხარისხის უზრუნველყოფის არსებული სისტემის, UNESCO/OECD საზღვარგარეთული უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელოების შესწავლით, ისევე როგორც ამ უკანასკნელის კონტექსტუალიზირებით ორივე ქვეყნისათვის ღირებული მრავალი კულტურული ასპექტისა და ფასეულობის გათვალისწინებით. იგი წარმოადგენს მთელი კონსორციუმის დიდი ძალისხმეების შედეგს საუკეთესოდ შესადარი და ამავე დროს ლეგიტიმური მიდგომის უზრუნველსაყოფად.

ღრმად გვწამს რომ მიღებული გაკვეთილები ფასდაუდებელი, ღირებული და სასარგებლო იქნება სომხეთის აკადემიური საზოგადოებისათვის, ისევე როგორც მის ფარგლებს გარეთ. აღნიშნული წარმოადგენს TNE_QA კონსორციუმის მთავარი დაინტერესებული პირების წვლილს და ვიმედოვნებთ, რომ იგი ხელს შეუწყობს საქართველოსა და სომხეთის მთავარობების მიერ ტრანსნაციონალური განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ახალი ჩარჩოს შემუშავებას, რომლის ამოცანაც იქნება ტრანსნაციონალური პროვაიდერების ადექვატური ხარისხის უზრუნველყოფის სერვისების მიწოდება, ხოლო უფრო დიდი მიზანი - სისტემების დაცვა სიყალბისაგან.

ჩვენი განსაკუთრებული მადლობა გვსურს გამოვხატოთ ევროპის კომისიისა და ევროკომისიის განათლების, აუდიოვიზუალური და კულტურის

აღმასრულებელი სააგენტოს (EACEA) მიმართ სისტემის მდგრად განვითარებაში შეტანილი ფასდაუდებელი წვლილისათვის.

სუზანა კარაჰანიანი, PhD

(ჩემი ხელმოწერა)

პროექტის ავტორი და პროექტის EMT-ს წევრი

ტემპუსის პროექტის „საქართველოსა და სომხეთში ტრანსნაციონალური განათლების ხარისხისა და აღიარების მხარდაჭერა“ (TNE_QA) კონსორციუმი

სომხეთი	ფრანგული უნივერსიტეტი სომხეთში
	რუსულ-სომხური (სლავური) უნივერსიტეტი
	პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ფონდის ეროვნული ცენტრი
	განათლების ხარისხი
	სომხეთის რესპუბლიკის განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
	სომხეთის ამერიკული უნივერსიტეტი
ბელგია	მენეჯმენტის განვითარების ევროპული ფონდი
საფრანგეთი	ჟან მულინ ლიონი 3 უნივერსიტეტი
	მარსელის უნივერსიტეტი
	განათლების დაგეგმვის საერთაშორისო ინსტიტუტი
საქართველო	კავკასიის უნივერსიტეტი
	აკაკი წერეთლის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტი
	ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია

	განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
	განათლების პოლიტიკისა და დაგეგმვის საერთაშორისო ინსტიტუტი
	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
გერმანია	ზეიგენის უნივერსიტეტი
გაერთიანებული სამეფო	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტო
	ბას სკა უნივერსიტეტი

წინასიტყვაობა

ტრანსნაციონალური უმაღლესი განათლება ტრიალებს მთელი რიგი მოდალობების გარშემო, რომლებიც იცვლება პირისპირ შეხებიდან (იღებს მრავალ განსხვავებულ ფორმას, როგორცაა საზღვარგარეთ სტუდენტების მოგზაურობა და საზღვარგარეთის უნივერსიტეტები) დისტანციურ სწავლებამდე (იყენებს ფართო ტექნოლოგიებს და მოიცავს ელექტრონულ სწავლებას). 2005 წელს UNESCO-მ ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციასთან (OECD) კოოპერირებით შეიმუშავა და გამოსცა ტრანსნაციონალური უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო პრინციპები. თითოეულ ქვეყანაში პასუხისმგებლობის გადანაწილების სპეციფიკის გათვალისწინებით, სახელმძღვანელო პრინციპები რეკომენდაციას გასცემს შემდეგ 6 ორგანიზაციაზე: მთავრობები; უმაღლესი განათლების ინსტიტუციები/პროვაიდერები, მათ შორის აკადემიური პერსონალი; სტუდენტური ორგანიზაციები; ხარისხის უზრუნველყოფისა და აკრედიტაციის დაწესებულებები; აკადემიური აღიარებისა და პროფესიული დაწესებულებები. სახელმძღვანელო პრინციპები ფართოდ უჭერს მხარს მრავალფეროვანი ტრანსნაციონალური უმაღლესი განათლების სხვადასხვა დონეზე მიწოდებისა და განსხვავებული ხარისხის უზრუნველყოფის მიწოდების სიფრთხილით განხილვას.

TEMPUS TNE_QA პროექტის (2013-2017) ფარგლებში, კონსორციუმმა ერთიანი ძალით მოახდინა სახელმძღვანელოს პრინციპების გამოყენებადობის სიღრმისეული შესწავლა ორ პოსტსაბჭოთა ქვეყანაში: სომხეთსა და საქართველოში. პროექტის შედეგები ასახულია ამ ორ ქვეყანაში ტრანსნაციონალური განათლების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის, კრიტერიუმებისა და პროცედურების მოცემულ სახელმძღვანელო პრინციპებში. ეს სახელმძღვანელო პრინციპები, UNESCO/OECD-ის სახელმძღვანელოსთან ერთად, რეკომენდაციებს იძლევა ქვეყნის ექვსი დაინტერესებული მხარისათვის: მთავრობები; უმაღლესი განათლების ინსტიტუციები/პროვაიდერები, მათ შორის აკადემიური პერსონალი; სტუდენტური ორგანიზაციები; ხარისხის უზრუნველყოფისა და აკრედიტაციის დაწესებულებები; აკადემიური აღიარებისა და პროფესიული დაწესებულებები. სახელმძღვანელო პრინციპები, ისევე როგორც პროექტში შემუშავებული ყველა ინსტრუმენტი და დოკუმენტი, გამიზნულია დაეხმაროს მთავრობებს, ხარისხის უზრუნველყოფის ორგანიზაციებს, ტრანსნაციონალური განათლების პროვაიდერებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს გააუმჯობესონ ხარისხის სტანდარტები საუკეთესო გამოცდილების გაზიარებით. ისინი ავსებენ UNESCO/OECD-ს სახელმძღვანელოს და წარმოადგენენ საფუძველს ამ დოკუმენტისათვის იმ კონკრეტული ნაბიჯების განმარტებით, რომლებიც პრაქტიკულად უნდა განხორციელდეს ეროვნულ დონეზე.

გარდა ქვეყნებისა და რეგიონების სფეციფიკიდან გამომდინარე სახელმძღვანელო პრინციპებისა ტრანსნაციონალური განათლების მიმწოდებლებისათვის, ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე კრიტერიუმები და პროცედურები, ისევე როგორც ტრანსნაციონალური განათლების მიმწოდებლების ხარისხის აღიარების გარე პროვაიდერების კრიტერიუმები და პროცედურები ავსებენ ამ დოკუმენტს.

კრიტერიუმები და პროცედურები შემუშავდა როგორც განხორციელებული პროექტის შედეგი და მათი ლეგიტიმურობის უზრუნველყოფად გამოიყენება პროექტის ფარგლებში სპეციფიკურ კონტექსტში.

აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში კონტექსტების მსგავსების გათვალისწინებით შედეგები შესაძლოა გამოყენებულ იქნეს ამ ორი ქვეყნის (სომხეთი, საქართველო) ფარგლებს გარეთ და შესაძლოა გამოყენებულ იქნეს განათლების სფეროში მოღვაწე პირებისათვის, პოლიტიკის განმსაზღვრელებისა და უმაღლესი განათლების სფეროთი დაინტერესებული პირების მიერ.

I. პროექტის შესავალი და მისი მეთოდოლოგია

სატანადო ცოდნისა და კომპეტენციის მქონე მუშა ხელზე საბაზრო მოთხოვნების საპასუხოდ, უმაღლესი განათლების სფეროში მრავალფეროვანი მიმწოდებლების ექსპანსია გახდა შედეგი. ტრადიციული, საცხოვრებელ ადგილთან დაკავშირებული განათლება უკვე არ წარმოადგენს კვალიფიკაციის მიღების ერთადერთ საშუალებას. დისტანციური სწავლებისა და ტრანსნაციონალური განათლების სხვადასხვა ფორმები მომრავლდა, ზოგიერთ რეგიონში უფრო მეტად ვიდრე სხვაგან. ამ ტენდენციასთან ერთად იზრდება გარკვეული შემფოთება რეგულაციის ფორმებთან, ხარისხის კონტროლისა და მომხმარებლის ინტერესების დაცვის საკითხებთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, თუ რა ფორმით ხდება განათლების მიწოდება, მისი ხარისხის უზრუნველყოფისა და შენარჩუნების სტანდარტები წარმოადგენს შემფოთების უმთავრეს საგანს მრავალი ეროვნული და საერთაშორისო დაწესებულების, ორგანიზაციის, კერძო სექტორის კომპანიებისა და სტუდენტებისათვის.

აღნიშნული ტენდენცია პოსტსაბჭოთა ქვეყნებში გამოხატულია უცხოური უნივერსიტეტების ფილიალების ჩამოყალიბებითა და ტრანსნაციონალური რეგულაციების გაფართოებით. უმაღლესი განათლებისადმი ხელმისაწვდომობის მზარდ შესაძლებლობებთან ერთად, ისევე როგორც სასურველი უცხოური ხარისხის ქვეყნის დატოვების გარეშე მიღების შესაძლებლობა, უმაღლესი განათლების მიწოდების ამ ფორმასთან დაკავშირებული მრავალი უარყოფითი მხარეც არსებობს, რომელთაგან გამოირჩევა ე.წ. „დიპლომის წისკვილების“ რისკი. სომხეთში უცხოური უნივერსიტეტების 10-მდე ფილიალი არსებობს, საქართველოში - 7. აღნიშნული დაწესებულებები ამ ქვეყნებში ეროვნულ სამართლებრივ სისტემაში არიან მოქცეული. მათი ხარისხი უზრუნველყოფილია ან ხარისხის უზრუნველყოფის პროვაიდერების მიერ თავიანთი ქვეყნიებიდან ან ხარისხის უზრუნველყოფა საერთოდ არ წარმოადგენს ამგვარი დაწესებულებების პრიორიტეტს. ამგვარი დამოკიდებულება პოტენციურად არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს სამიზნე ქვეყნების უმაღლეს განათლებას, როგორცაა მაგალითად: მასპინძელი ქვეყნის საჭიროებებთან შეუსაბამობა, კულტურული და ლინგვისტური სენსიტიურობის გაუთვალისწინებლობა;

არაკვალიფიკაციური აკადემიური პერსონალი; უმაღლესი განათლების სისტემის მზარდი ფრაგმენტაცია; მდარე ხარისხის დიპლომები და ა.შ.

ამ საკითხების გათვალისწინებით, Tempus TNE_QA პროექტის ფარგლებში შემუშავებულ იქნა დამხმარე ჩარჩო საქართველოსა და სომხეთში ტრანსნაციონალური უმაღლესი განათლების რეგულირების, ხარისხის უზრუნველყოფისა და აღიარების ხელშეწყობის მიზნით. პროექტის განხორციელება დაიწყო 2013 წელს. მისი ყოვლისმომცველი ამოცანა გახლდათ ტრანსნაციონალური პროვაიდერებისათვის შიდა და გარე ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შემუშავებაში არსებული ნაპრალის ამოვსებაში დახმარება და მათი OECD/UNESCO სახელმძღვანელო პრინციპებთან თანხვედრაში მოყვანა სომხეთსა და საქართველოში ტრანსნაციონალური განათლების მიწოდების ხარისხის სრულყოფის, რეგულირებისა და აღიარების ხელშესაწყობად. კონკრეტული ამოცანები შემუშავდა შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

- სომხური და ქართული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების და ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოების შესაძლებლობების გაზრდა ტრანსნაციონალური უმაღლესი განათლების ხარისხის ეფექტური მართვისათვის.
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შემუშავება და ინტეგრირება ინსტიტუტებში, რომლებიც აწვდიან ტრანსნაციონალურ განათლებას.
- ხარისხის უზრუნველყოფის გარე სისტემებისათვის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებისა და პროცედურების შემუშავება და ინტეგრირება ტრანსნაციონალური უნივერსიტეტებში ამ პროცედურების უკეთ მართვის მიზნით.
- სომხეთსა და საქართველოში ტრანსნაციონალური უმაღლესი განათლების მიწოდების რეგულირების, ხარისხის უზრუნველყოფისა და აღიარების უზრუნველყოფა.

პროექტის მეთოდოლოგიის დიაპაზონი ვრცელდებოდა კომპეტენციების გაზრდიდან განვითარებამდე და ტრანსნაციონალური უმაღლესი განათლების პროვაიდერებისათვის ევროპული და საერთაშორისო ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩოების ექსპერიმენტირებამდე. პროექტის პირველი სამუშაო გეგმით გათვალისწინებული ინტენსიური კომპეტენციების გაზრდის შემდეგ პარტნიორ ქვეყნებს შესაძლებლობა მიეცათ პასუხისმგებლობა აეღოთ პოლიტიკისა და რეგულაციების შემუშავებაზე, ხოლო ევროპულმა პარტნიორებმა თავიანთი წვლილი შეიტანეს ამ პროცესში რეკომენდაციების მიცემით, ნოუ-ჰაუს გაზიარებითა და ძირითად განმახორციელებლებთან ერთობლივი მუშაობით ექსპერიმენტის შედეგებზე.

მოვლენების კონტექსტუალიზების უზრუნველსაყოფად, ისევე როგორც მათი ქვეყნის საჭიროებებზე მოსარგებად და ადგილობრივ პოლიტიკასთან თანხვედრაში მოსაყვანად, პროექტის სამუშაო ჯგუფმა ჩაატარა ფაქტებზე დაფუძნებული კვლევა, რომელზეც დაყრდნობით შემუშავებულ იქნა ტრანსნაციონალური განათლების ხარისხის

უზრუნველყოფის (TNE QA) ჩარჩო, როგორც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების, ისე ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოებისათვის. კვლევა გაიშალა არსებული პრაქტიკისა და პროცედურების გარშემო, რომლებიც საფუძვლად უდევს ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტების შეფასებას მასპინძელ და სტუმარ ქვეყნებში. შემუშავდა კვლევის სტანდარტული მეთოდოლოგია, რომელიც იძლეოდა თითოეულ პარტნიორ ქვეყანაში არსებული სტანდარტებისა და პროცედურების შედარებითი ანალიზის საშუალებას. კვლევის მეთოდები მოიცავდა, მაგრამ არ შემოიფარგლებოდა, საოფისე კვლევით, ინტერვიუებით, დაკვირვებითა და პროცესებისა და პროცედურების მიმოხილვით. მიმოხილვამ გამოავლინა საუკეთესო პრაქტიკის სფეროები, ისევე როგორც სფეროები და საკითხები შემდომი კვლევისათვის.

კვლევის შედეგად დაიწყო ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებისა და პროცედურების შემუშავება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოებისათვის. შემუშავებულმა პოლიტიკამ და პროცედურებმა გაიარეს საცდელი ტესტირება ევროკავშირის პარტნიორების მხარდაჭერით. შედეგები აისახა ერთობლივ მიმოხილვით ანგარიშში, რომელიც წარმოადგინეს სომხეთისა და საქართველოს განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოებმა. ანგარიში, ასევე მოიცავდა რეკომენდაციების, დაკვირვებების, კარგი გამოცდილების სფეროებისა და განვითარების შესაძლებლობების ამომწურავ ნუსხას.

მოცემული სახელმძღვანელო პრინციპები წარმოადგენს რეკომენდაციებს, რომლებიც აისახა საბოლოო ანგარიშში. რეკომენდაციები შემოთავაზებულია UNESCO/OECD-ს სახელმძღვანელო პრინციპებთან დამატებით და ასახავენ ქვეყნის კონკრეტულ საჭიროებებს.

II. ტრანსნაციონალური უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა

1. პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპები სამთავრობო დონეზე

ხელისუფლებას შეუძლია იყოს ზემოქმედი, პასუხისმგებელი თუ არა, ადექვატური ხარისხის უზრუნველყოფის, აკრედიტაციისა და კვალიფიკაციების აღიარების ხელშეწყობაში. მას აღებული აქვს პოლიტიკის კოორდინაციის ფუნქცია უმაღლესი განათლების სისტემების უმრავლესობაში. თუმცა, მოცემული სახელმძღვანელო პრინციპებით აღიარებულია, რომ ზოგიერთ ქვეყანაში ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებლობა აღებული აქვს სახელისუფლებო ქვე-სტრუქტურებს ან არასამთავრობო ორგანიზაციებს.

ამ კონტექსტში, რეკომენდებულია რომ ხელისუფლებამ:

- ა. დააწესოს, ან ხელი შეუწყოს ამომწურავ, სამართლიან და გამჭვირვალე რეგისტრაციისა თუ ლიცენზირების სისტემის დაწესებას იმ ტრანსნაციონალური უმაღლესი განათლების პროვაიდერებისათვის, რომელთაც სურთ მათ ტერიტორიაზე ოპერირება.
- ბ. დააწესოს, ან ხელი შეუწყოს ამომწურავ კომპეტენციის დაწესებას ტრანსნაციონალური უმაღლესი განათლების ხარისხის სანდო უზრუნველყოფისა და აკრედიტაციისათვის, იმ ფაქტის აღიარებით, რომ ტრანსნაციონალური უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფა და აკრედიტაცია მოიცავს როგორც გამგზავნ, ისე მიმღებ ქვეყანას.
- გ. აწარმოოს კონსულტაციები და კოორდინება ხარისხის უზრუნველყოფისა და აკრედიტაციის სხვადასხვა კომპეტენტურ ორგანიზაციებთან როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე.
- დ. უზრუნველყოს ზუსტი, სანდო და ადვილად ხელმისაწვდომი ინფორმაციის მიწოდება ტრანსნაციონალური უმაღლესი განათლების რეგისტრაციის, ლიზენცირების, ხარისხის უზრუნველყოფისა და აკრედიტაციის კრიტერიუმების, სტუდენტების, ინსტიტუტებისა თუ პროგრამების დაფინანსებაზე, იქ სადაც ეს შესაბამისია და მათ ნებაყოფილობით ან სავალდებულო ხასიათზე.
- ე. განიხილოს მხარედ გახდომის ან წვლილის შეტანის საკითხი კვალიფიკაციების აღიარებასთან დაკავშირებულ იუნესკოს რეგიონული კონვენციების შემუშავებასა ან/და განახლებაში და დააწესოს კონვენციებით გათვალისწინებული ეროვნული საინფორმაციო ცენტრები.

ვ. იქ სადაც შესაფერისია, შეიმუშავოს ან წახალისოს აღიარების ორმხრივი ან მრავალმხრივი ხელშეკრულებები, თითოეული ქვეყნის კვალიფიკაციების აღიარების ან ტოლფასობის ხელშეწყობით ორმხრივ ხელშეკრულებებში ჩართულ პროცედურებსა და კრიტერიუმებზე დაყრდნობით.

ზ. წვლილი შეიტანოს ძალისხმევაში საერთაშორისო დონეზე განახლებადი, ზუსტი და ყოვლისმომცველი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის საკითხში უმაღლესი განათლების აღიარებულ ინსტიტუციებთან/პროვაიდერებთან დაკავშირებით.

TNE_QA სახელმძღვანელო პრინციპები სამთავრობო დონეზე

- I. სომხეთისა და საქართველოს განათლების სამინისტროებმა უნდა შეიმუშაონ მკაფიო პოლიტიკა და რეგულაციები მათ ქვეყანაში მოქმედ ტრანსნაციონალური განათლების პროვაიდერებთან დაკავშირებით, რათა ხელი შეეწყოს უმაღლესი განათლების მიწოდებისადმი ხელმისაწვდომობის გაზრდას, ამასთან მიწოდების ხარისხისა და შესაბამისობის უზრუნველყოფით.
- II. სომხეთისა და საქართველოს სამართლებრივ ჩარჩოებში უნდა განმარტოს თუ რას ნიშნავს ტრანსნაციონალური უმაღლესი განათლების მიწოდება მათ კონკრეტულ კონტექსტში. ტრანსნაციონალური მიწოდება შესაძლოა ნიშნავდეს ორივეს - როგორც უმაღლესი განათლების სერვისების მიწოდებას, ისე მათი ხარისხის უზრუნველყოფასაც. პროექტის დანერგვის შედეგად იდენტიფიცირებულ იქნა შემდეგი ძირითადი გამოთქმები ტრანსნაციონალური უმაღლესი განათლების შესახებ:
 - ა. უმაღლესი განათლების ინსტიტუციის დონეზე:
 - უცხოელი პროვაიდერების მიერ შექმნილი მთავარი კამპუსები,
 - ფილიალები,
 - სამთავრობოშორისი ინსტიტუტები,
 - ერთობლივი უნივერსიტეტები/კოლეჯები,
 - ვირტუალური ინსტიტუტები.
 - ბ. პროგრამის დონეზე:
 - ფრანჩიზი,
 - ერთობლივი ხარისხი,
 - უცხოური უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შემოთავაზებული ავტონომიური პროგრამა,
 - დისტანციური სწავლება ადგილობრივ აკადემიურ პარტნიორთან,
 - ვირტუალური პროგრამები/კურსები,
 - დამოუკიდებელი დისტანციური სწავლება.
 - გ. გარე ხარისხის უზრუნველყოფის დონე:
 - ხარისხის უზრუნველყოფის უცხოურ პროვაიდერთან ერთობლივად შესწავლა,

- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და პროგრამების დამოუკიდებელი გარე ხარისხის უზრუნველყოფის შესწავლა უცხოური პროვაიდერის მიერ,
 - გარე ხარისხის უზრუნველყოფის შესწავლა განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ეროვნული მიმწოდებლის მიერ ტრანსნაციონალური განათლების სპეციფიკის გათვალისწინებით.
- III. ერთობლივი ინიციატივების განხორციელების შემთხვევაში აუცილებელია წერილობითი და სამართლებრივად გაფორმებული შეთანხმებების ან კონტრაქტების არსებობა, რომლებიც ასახავენ თითოეული პარტნიორის უფლებებსა და ვალდებულებებს.
- IV. სომხეთისა და საქართველოს სამართლებრივ ჩარჩოებში მკაფიოდ უნდა განსაზღვროს თუ რომელ ტრანსნაციონალური განათლების პროვაიდერებს ეძლევათ უფლება შემოვიდნენ უმაღლესი განათლების ბაზარზე და მკაფიოდ უნდა ჩამოაყალიბონ ტრანსნაციონალური განათლების პროვაიდერებთან დაკავშირებული პოლიტიკა და რეგულირებები, რომელიც უნდა დაემორჩილოს ტრანსნაციონალური განათლების პროვაიდერი თუ სურს ამ სისტემაში შემოსასვლელად, ისევე როგორც მინიჭებული კვალიფიკაციის შემდგომი აღიარება.
- V. სამართლებრივმა ჩარჩომ ასევე უნდა განსაზღვროს ტრანსნაციონალური განათლების პროვაიდერებთან დაკავშირებული პოლიტიკა და რეგულაციები შემდეგ საკითხებზე:
- ა. ტრანსნაციონალური განათლების დამოუკიდებელი მიწოდება - როდესაც გამგზავნი ქვეყანა იღებს ძირითად პასუხისმგებლობას კურიკულუმზე, კვალიფიკაციის მინიჭებასა და ხარისხის გარე უზრუნველყოფაზე.
 - ბ. ტრანსნაციონალური განათლების ერთობლივი მიწოდება - როდესაც ორივე, მასპინძელი და გამგზავნი ქვეყანა ინაწილებენ ან იღებენ ერთობლივ პასუხისმგებლობას კურიკულუმზე, კვალიფიკაციის მინიჭებასა და ხარისხის გარე უზრუნველყოფაზე.
 - გ. ადგილობრივი პროვაიდერების მიერ სამოდულო სისტემის მიწოდება - როდესაც ხდება განათლების მოდელის - კურიკულუმისა და კვალიფიკაციის მინიჭების - გადმოღება სისტემიდან ადგილობრივი პროვაიდერების მიერ და ხარისხის გარე უზრუნველყოფა ხორციელდება დამოუკიდებლად განათლების ხარისხის უზრუნველყოფის პროვაიდერის მიერ ნასესხები/გადმოღებული სისტემიდან (მაგალითად, AUA - სომხეთში).
- VI. განათლების სამინისტროებმა ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურების შემუშავებასა და დანერგვასთან დაკავშირებით უნდა მოახდინონ უფლებამოსილების დელეგირება ხარისხის უზრუნველყოფის შესაბამის ორგანიზაციებზე.
- VII. იმის გათვალისწინებით, რომ უმაღლესი განათლების სისტემის ხარისხზე საბოლოო პასუხისმგებლობა აკისრია მთავრობას, რეკომენდაცია, რომელიც გამომდინარეობს

პროექტიდან, სთავაზობს მას ლიცენზირების, მონიტორინგისა და აკრედიტაციის გაბედული სისტემის დანერგვას მთავრობის მიერ იდენტიფიცირებული და განსაზღვრული ტრანსნაციონალური განათლების პროვაიდერების ჯგუფებისათვის. იდენტიფიცირებამ და განსაზღვრამ უნდა მიგვიყვანოს ტრანსნაციონალური განათლების მკაფიო კლასიფიკაციამდე ეროვნულ დონეზე, რაც შედეგად მოიტანს ტრანსნაციონალური განათლების კლასიფიკაციის ეროვნული ჩარჩოს შემუშავებას.

- VIII. ტრანსნაციონალური განათლების კლასიფიკაციის ეროვნულმა ჩარჩომ უნდა უზრუნველყოს ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებისათვის აუცილებელი მონაცემების მიწოდება, უმაღლესი განათლების სისტემაში განვითარების ტენდენციების, გამოწვევებისა და შესაძლებლობების იდენტიფიცირებით. შესაბამისი სამინისტროების მიერ მის გარშემო ობიექტური და გამჭვირვალე ოპერირების უზრუნველსაყოფად უნდა შემუშავდეს მკაფიო მარეგულირებელი ჩარჩო.
- IX. ტრანსნაციონალური განათლების კლასიფიკაციის ეროვნული ჩარჩო უნდა იძლეოდეს ეროვნულ დონეზე მონაცემების შეგროვების შესაძლებლობას ტრანსნაციონალური განათლების განხორციელებასთან დაკავშირებით როგორც გამომგზავნი, ისე მასპინძელი პროვაიდერებისათვის. მონაცემების შეგროვებას უნდა ხელმძღვანელობდეს შესაბამისი ბუფერული დაწესებულება/ხარისხის უზრუნველყოფის დაწესებულება, რომელიც უნდა განისაზღვროს განათლების სამინისტროს მიერ და მიენიჭოს სათანადო უფლებამოსილება. იგი ანგარიშვალდებული იქნება სამინისტროს წინაშე.
- X. ტრანსნაციონალური განათლების პროვაიდერების ზუსტი იდენტიფიცირება და განსაზღვრა - როგორც გამოგზავნის, ასე მასპინძლის - ეროვნულ დონეზე განვითარების შემდგომ ეტაპზე გადასვლის საშუალებას იძლევა. როგორც სომხეთმა, ისე საქართველომ მკაფიოდ უნდა განსაზღვროს ეროვნულ დონეზე ტრანსნაციონალურ განათლებასთან დაკავშირებით სტრატეგიები.
- XI. ეროვნული სამართლებრივი სისტემები ასევე მკაფიოდ უნდა განსაზღვრავდნენ ტრანსნაციონალური განათლების პროვაიდერების მიერ შეთავაზებული ხარისხის მინიჭებისა და მინიჭებული კვალიფიკაციების აღიარების პროცედურებს. აღნიშნული პროცედურები შესაძლოა მოიცავს ტრანსნაციონალური განათლების პროვაიდერების გამომდინარე აღიარებას, რომელთა ხარისხის უზრუნველყოფა განხორციელებულია ხარისხის უზრუნველყოფის უცხოური დაწესებულებების მიერ.
- XII. ტრანსნაციონალური განათლების პროგრამების აღიარების ერთ-ერთ მექანიზმს, რომელსაც მივყავართ კვალიფიკაციის მინიჭებამდე, წარმოადგენს მათი შეტანა ქვეყანაში აკრედიტებული პროგრამების რეესტრში, და ამ უკანასკნელის შეტანა ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოში. დაკავშირება ტრანსნაციონალური განათლების

ხარისხის უზრუნველყოფის გადაწყვეტილებების და ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოში მათი შეტანის თაობაზე ასევე საჭიროებს მოგვარებას.

2. პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპები უმაღლესი განათლების ინსტიტუციების დონეზე

UNESCO/OECD-ს სახელმძღვანელო პრინციპები უმაღლესი განათლების ინსტიტუციების/პროვაიდერებისათვის

უმაღლესი განათლების ყველა ინსტიტუციის/პროვაიდერის მიერ ხარისხზე პასუხისმგებლობის აღება არსებითია. ამასთან დაკავშირებით, აკადემიური პერსონალის აქტიური და კონსტრუქციული წვლილი შეუწვლელია. უმაღლესი განათლების ინსტიტუტები პასუხისმგებელი არიან ხარისხის, ისევე როგორც განათლების სოციალური, კულტურული და ლინგვისტური შესაბამისობის, მათი სახელით მინიჭებული კვალიფიკაციის სტანდარტების უზრუნველყოფაზე მიწოდების ფორმის მიუხედავად.

ამ კონტექსტში ტრანსნაციონალური უმაღლესი განათლების მიმწოდებელი ინსტიტუციების/პროვაიდერებისათვის რეკომენდებულია შემდეგი:

ა. უზრუნველყოფა იმისა, რომ პროგრამები, რომლებსაც ისინი საზღვრებს გარეთ, ისევე როგორც საკუთარ ქვეყნებში აწვდიან, შესაძარი ხარისხისა იყოს და რომ ისინი მხედველობაში იღებდნენ მიმღები ქვეყნის კულტურულ და ლინგვისტური სპეციფიკას. სასურველია, რომ ამგვარი პასუხისმგებლობის აღებულ იქნეს საჯაროდ.

ბ. აღიარება იმისა, რომ ხარისხიანი სწავლება და კვლევა მიიღწევა პროფესურის ხარისხითა და მათი სამუშაო პირობების ხარისხით, რაც ხელს უმართავს დამოუკიდებელ და გადამწყვეტ კვლევას. იუნესკოს რეკომენდაციები უმაღლესი განათლების პედაგოგიური პერსონალის სტატუსთან დაკავშირებით და სხვა შესატყვისი საშუალებები საჭიროა რომ იქნეს გათვალისწინებული ყველა ინსტიტუციისა და პროვაიდერის მიერ, რათა ხელი შეეწყოს კარგ სამუშაო პირობებსა და მომსახურების ვადებს, კოლეგიალურ მართვასა და აკადემიურ თავისუფლებას.

გ. შიდა ხარისხის მენეჯმენტის არსებული სისტემების განვითარება, შენარჩუნება ან გადახედვა იმგვარად, რომ მოხდეს დაინტერესებული მხარეების კომპეტენციების სრულად გამოყენება (მაგალითად: აკადემიური პერსონალის, ადმინისტრატორების, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების) და აღებულ სრული პასუხისმგებლობა მშობლიური ქვეყნის, ისევე როგორც საზღვარგარეთის სტანდარტებთან შესაბამისობაში მყოფი უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების მიწოდებაზე. უფრო მეტიც, როდესაც ხდება პროგრამების წარდგენა პოტენციური სტუდენტებისათვის შესაბამისი აგენტების მეშვეობით, სრული პასუხისმგებლობა უნდა იქნეს აღებული და უზრუნველყოფილი,

რომ აგენტების მიერ მიწოდებული ინფორმაცია და გზამკვლევა იყოს ზუსტი, სანდო და ადვილად ხელმისაწვდომი.

გ. კონსულტაციების მიღება კომპეტენტური ხარისხის უზრუნველყოფისა და აკრედიტაციის დაწესებულებებისაგან და მიმღები ქვეყნის ხარისხის უზრუნველყოფისა და აკრედიტაციის სისტემების პატივისცემა, როდესაც აწვდი უმაღლეს განათლებას საზღვარგარეთ, მათ შორის დისტანციურადაც.

დ. საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება ეროვნულ და საერთაშორისო დონეებზე სექტორულ ორგანიზაციებსა და ინსტიტუციებს შორის ქსელებში მონაწილეობით.

ე. ერთმანეთი კვალიფიკაციების აღიარების ან ექვივალენტურისა და სადარის გამოძებნის მხარდასაჭერად ქსელებისა და პარტნიორობების დაფუძნება და შენარჩუნება.

ვ. საუკეთესო პრაქტიკის კოდექსის გამოყენება იქ, სადაც რელევანტურია, მაგალითად, იუნესკოს/ევროპის საბჭოს „ტრანსნაციონალური განათლების მიწოდების საუკეთესო პრაქტიკის კოდექსი“ და სხვა შესაბამისი კოდექსები, კერძოდ კი: იუნესკოს/ევროპის საბჭოს „რეკომენდაციები უცხოური კვალიფიკაციების შეფასების პროცედურებისა და კრიტერიუმების შესახებ“.

ზ. ზუსტი, სანდო და ადვილად ხელმისაწვდომი ინფორმაციის მიწოდება გარე და შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კრიტერიუმებისა და პროცედურების შესახებ და მათ მიერ შეთავაზებული კვალიფიკაციების აკადემიური და პროფესიული აღიარება, პროგრამებისა და კვალიფიკაციების სრულყოფილი აღწერით, უმჯობესია ცოდნისა და უნარების აღწერით, რომელსაც შეიძენს წარმატებული სტუდენტი. უმაღლესი განათლების ინსტიტუციებმა/პროვაიდერებმა განსაკუთრებით უნდა ითანამშრომლონ ხარისხის უზრუნველყოფისა და აკრედიტირების ორგანოებთან, ისევე როგორც სტუდენტურ ორგანიზაციებთან ამ ინფორმაციის გავრცელების უზრუნველსაყოფად.

თ. ინსტიტუციის და/ან შეთავაზებული საგანმანათლებლო პროგრამის ფინანსური სტატუსის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა.

TNE_QA სახელმძღვანელო პრინციპები უმაღლესი განათლების ინსტიტუციებისათვის/ პროვაიდერებისათვის

1. ტრანსნაციონალური განათლების პროვაიდერებს უნდა ჰქონდეთ ხარისხის უზრუნველყოფის მკაფიო შიდა პოლიტიკა, პროცედურები და მექანიზმები, და გახადონ ისინი საჯაროდ ცნობილი. მათ ნათლად უნდა ახნან თავიანთი სტატუსი შესაძლო გარე ხარისხის უზრუნველყოფის პროვაიდერებთან, ისევე როგორც, შესაბამისობა ხარისხის უზრუნველყოფის ეროვნულ ჩარჩოსთან დაკავშირებით.

- II. შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა უნდა უზრუნველყოფდეს კურიკულუმის შემუშავების, მისი ხარისხის უზრუნველყოფისა და კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ მიუკერძოებელი ინფორმაციის გავრცელებას. აუცილებელია კვალიფიკაციის აღიარების დაწესებულებისათვის საჯარო ინფორმაციის მიწოდება შეთავაზებული ხარისხის სტატუსის შესახებ და განსაკუთრებით იმის შესახებ, არის თუ არა ტრანსნაციონალური განათლების პროვაიდერის პროგრამა აღიარებული როგორც ეროვნული უმაღლესი განათლების მიწოდების ნაწილი.
- III. ტრანსნაციონალური განათლების პროვაიდერებმა უნდა განავითარონ შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კრიტერიუმები, რომელიც დაფუძნებული იქნება "დასაშვები განსხვავების" პრინციპზე, რაც მრავალფეროვნებისა და ინოვაციის შეტანის საშუალებას მისცემს ადგილობრივ უმაღლესი განათლების მიწოდებაში.
- IV. ტრანსნაციონალური განათლების პროვაიდერებმა უნდა შეიმუშაოს ხარისხის უზრუნველყოფის საერთაშორისო კრიტერიუმები „გამართლებული განსხვავების“ პრინციპზე დაყრდნობით, რომელიც უმაღლესი განათლების ადგილობრივი მიწოდების გამრავალფეროვნებისა და ინოვაციის საშუალებას შესაძლებელს გახდის.
- V. შიდა ხარისხის უზრუნველყოფამ ზუსტად უნდა ახსნას, თუ როგორაა შეთავაზებული კვალიფიკაციები განთავსებული მასპინძელი და უცხო ქვეყნის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოებში.
- VI. ტრანსნაციონალური განათლების პროვაიდერებმა უნდა უზრუნველყონ როგორც მიმნიჭებელი ინსტიტუციების, ისე მიმღები ქვეყნის კულტურული და წეს-ჩვეულებების ცოდნა სტუდენტებსა და პერსონალში.
- VII. აგენტის მეშვეობით (მაგ. ადგილობრივი დაწესებულების) კვალიფიკაციის შეთავაზებისას, ტრანსნაციონალური განათლების პროვაიდერები უნდა იყვნენ პასუხისმგებელნი მათი კანონიერი წარმომადგენლის დანიშვნაზე, რომელიც იმოქმედებს მათი სახელით. ტრანსნაციონალური განათლების პროვაიდერები, რომლებიც აწარმოებენ თავიანთი პროგრამების შეთავაზებას აგენტების მეშვეობით, უნდა დებდნენ მათთან წერილობით და იურიდიულად გამართულ შეთანხმებებს ან კონტრაქტებს, რომელშიც მკაფიოდ იქნება განსაზღვრული მათი როლი, პასუხისმგებლობა, ქმედების დელეგირებული უფლებამოსილებები, ასევე მონიტორინგი, საარბიტრაჟო და ხელშეკრულების შეწყვეტის დებულებები. ეს შეთანხმებები ან კონტრაქტები უნდა შეიქმნას ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილებისა და ასევე სტუდენტების უფლებების დაცვის თვალსაზრისით.
- VIII. კვალიფიკაციის მიმნიჭებელი ინსტიტუციები უნდა იყვნენ პასუხისმგებელნი ტრანსნაციონალური სასწავლო პროგრამების განხორციელების შედეგად მათ მიერ მინიჭებულ კვალიფიკაციებზე. მათ უნდა წარმოადგინონ ნათელი და

გამჭვირვალე ინფორმაცია კვალიფიკაციების შესახებ, კერძოდ, დიპლომის დანართის გამოყენებით, კვალიფიკაციის შეფასების ხელშეწყობით კვალიფიკაციების აღიარების კომპეტენტური ორგანოების, სხვა უმაღლესი სასწავლებლების, დამსაქმებლებისა და სხვათა მიერ. ეს ინფორმაცია უნდა შეიცავდეს იმ სასწავლო პროგრამების ბუნებას, ხანგრძლივობას, დატვირთვას, ადგილმდებარეობას და სწავლების ენას (ებს), რომელსაც მივყავართ კვალიფიკაციამდე.

IX. ტრანსნაციონალური განათლების პროვაიდერმა უნდა უზრუნველყოს, რომ ტრანსნაციონალური საგანმანათლებლო პროგრამების მეშვეობით გაცემული კვალიფიკაციები, გაივლიან აღიარების პროცედურას სახელმწიფო ორგანოების მიერ და აღრიცხულნი არიან მიმღები ქვეყნის ოფიციალურ რეესტრში.

3. პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპები სტუდენტური ორგანიზაციებისათვის

UNESCO/OECD სახელმძღვანელო პრინციპები სტუდენტური ორგანიზაციებისათვის

როგორც ტრანსნაციონალური განათლების პირდაპირ მიმღებთა წარმომადგენლები და უმაღლესი განათლების საზოგადოების ნაწილი, სტუდენტურ ორგანოებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა სტუდენტებისა და პოტენციური სტუდენტების წინაშე, რათა მათ დაკვირვებით განიხილონ არსებული ინფორმაცია და საკმარისი დახმარება გაუწიონ გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

ამ კონტექსტში რეკომენდებულია ავტონომიური ადგილობრივი, ეროვნული და საერთაშორისო სტუდენტური ორგანიზაციების აღმოცენების ხელშეწყობა და რომ სტუდენტური ორგანიზაციები:

ა) ჩართულნი უნდა იყვნენ, როგორც აქტიური პარტნიორები, საერთაშორისო, ეროვნულ და ინსტიტუციურ დონეზე, ტრანსნაციონალური განათლების ხარისხის მიწოდების, მონიტორინგისა და შენარჩუნების პროცესში და ამ მიზნის მისაღწევად დგამდნენ აუცილებელ ნაბიჯებს.

ბ) აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ხარისხის ხელშეწყობაში, სტუდენტების ინფორმირებულობის გაზრდით პოტენციური რისკების თაობაზე, როგორებიცაა: დამაბნეველი გზამკვლევა და ინფორმაცია, დაბალი ხარისხის მიწოდება, რასაც მივყავართ შეზღუდული გამოყენებადობის კვალიფიკაციამდე, და ცუდი რეპუტაციის მქონე პროვაიდერი. მათ ასევე უნდა უხელმძღვანელონ სტუდენტებს ზუსტი და საიმედო ინფორმაციული წყაროების მოძიებაში ტრანსნაციონალური განათლების თაობაზე. ეს შეიძლება გაკეთდეს ამ სახელმძღვანელო პრინციპების არსებობის შესახებ ცნობიერების ამაღლებით, ისევე როგორც მათ დანერგვაში აქტიური მონაწილეობის მიღებით.

გ) ხელს უწყობდნენ სტუდენტებსა და პოტენციურ სტუდენტებს, რათა ტრანსნაციონალური განათლების უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩაბარების დროს დასვან შესაბამისი შეკითხვები. ამგვარი კითხვების ნუსხა შეიძლება შეიქმნას სტუდენტური ორგანიზაციების მიერ, მათ შორის, უცხოელი სტუდენტების ჩართვით, სადაც ეს შესაძლებელია, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების, ხარისხის უზრუნველყოფის და აკრედიტაციის ორგანოების და აკადემიური აღიარების ორგანოებთან თანამშრომლობით. ასეთი ჩამონათვალი უნდა მოიცავდეს შემდეგ კითხვებს: არის თუ არა ინსტიტუცია/პროვაიდერი აღიარებული სანდო აკრედიტებული ორგანიზაციის მიერ და არის თუ არა მიღებული და მინიჭებული კვალიფიკაცია აღიარებული აკადემიური და ან პროფესიული მიზნებისთვის სტუდენტთა მშობლიურ ქვეყანაში.

TNE_QA სახელმძღვანელო პრინციპები სტუდენტური ორგანიზაციებისათვის

- I. იმისათვის, რომ სტუდენტებს საშუალება მიეცეთ კოლექტიურად გამოხატონ საკუთარი აზრი, ტრანსნაციონალური განათლების პროვაიდერმა უნდა შექმნას სტუდენტური ორგანიზაცია, რომელიც იმუშავებს ტრანსნაციონალური განათლების პროვაიდერის სტუდენტების ადვოკატად და იქნება სტუდენტებისთვის მიუკერძოებელი ინფორმაციის ერთ-ერთი ძირითადი წყარო. სტუდენტური ორგანიზაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ტრანსნაციონალური განათლების პროვაიდერის გადაწყვეტილებების მიმღებ მთავარ ორგანოში.
- II. ეროვნულმა სტუდენტურმა ორგანიზაციებმა, ANSA, „სომხეთის სტუდენტური ხმა“ და შესაბამისმა ინსტიტუციებმა საქართველოში, მათი საქმიანობის ფარგლებში უნდა შექმნან სპეციალური კომიტეტები ტრანსნაციონალური განათლების საკითხებთან დაკავშირებით. მათ სადამფუძნებლო დოკუმენტებში უნდა მოხდეს ცვლილებების/დამატებების შეტანა ეროვნულ სტუდენტურ ორგანიზაციათა როლთან დაკავშირებით ტრანსნაციონალური განათლების ხელშეწყობაში, დამტკიცებული შესაბამისი სამხელისუფლებო სტრუქტურების მიერ.
- III. სტუდენტური ორგანიზაციები უნდა იყვნენ ინფორმაციის ერთ-ერთი ყველაზე სანდო წყაროები ტრანსნაციონალური განათლების პროვაიდერის ხარისხისა და საიმედოობის შესახებ. ამგვარად, ტრანსნაციონალური განათლების პროვაიდერების შესახებ მონაცემთა შეგროვების სპეციალური მექანიზმები, ჩარიცხული სტუდენტებისა და ტრანსნაციონალურ კვალიფიკაცია მინიჭებულთა აღქმიდან გამომდინარე, უნდა იქნეს დაწესებული. სტუდენტური ორგანიზაციები უნდა იქნენ წაქეზებული რათა მოამზადონ ტრანსნაციონალური პროვაიდერების ხარისხისა და საიმედოობის შესახებ ანგარიშები ძირითადი მომხმარებლის პერსპექტივადან გამომდინარე. ეს ანგარიშები უნდა იყოს საჯარო, ხელმისაწვდომი და რეგულარული.
- IV. სტუდენტურმა ორგანიზაციებმა უნდა შეიმუშაონ სახელმძღვანელო პრინციპები და მექანიზმები ტრანსნაციონალურ განათლებაში ჩარიცხული სტუდენტების უფლებების დასაცავად. ტრანსნაციონალური განათლების პროვაიდერთა სტუდენტების უფლებები უნდა შეესაბამებოდეს იმ სტუდენტებისას, რომლებიც სწავლობენ საჯარო და კერძო ადგილობრივ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

- V. სტუდენტთა ორგანიზაციებმა უნდა განახორციელონ ცნობიერების ასამაღლებელი რეგულარული კამპანია და საორიენტაციო ტრენინგები სტუდენტებისთვის, სხვადასხვა ტრანსნაციონალური პროვაიდერების პერსპექტიულობისა და სარგებლიანობის შესახებ.
- VI. ეროვნული სტუდენტური ორგანიზაციები უნდა იყვნენ ჩართულნი ისეთი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, როგორებიცაა კვალიფიკაციის აღიარება, ლიცენზირება და აკრედიტაცია.

4. პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპები ხარისხის უზრუნველყოფის ორგანიზაციებისათვის

UNESCO / OECD სახელმძღვანელო პრინციპები ხარისხის უზრუნველყოფის და აკრედიტაციის ორგანიზაციებისათვის

ინსტიტუციების/პროვაიდერების შიდა ხარისხის მართვის გარდა უმაღლესი განათლების ხარისხის ამაღლების მიზნით 60-ზე მეტ ქვეყანაში შემორებულია გარე ხარისხის უზრუნველყოფისა და აკრედიტაციის სისტემები. ხარისხის უზრუნველყოფისა და აკრედიტაციის ორგანიზაციები პასუხისმგებელნი არიან უმაღლესი განათლების მიწოდების ხარისხის შეფასებაზე. ხარისხის უზრუნველყოფისა და აკრედიტაციის ორგანიზაციები ხშირად განსხვავებულია სხვადასხვა ქვეყანაში, ზოგჯერ კი თვითონ ქვეყნის შიგნითაც კი. ზოგს აქვს სახელმწიფო ორგანიზაციები ხარისხის უზრუნველყოფისა და აკრედიტაციის დასარეგულირებლად, ხოლო ზოგ ქვეყანაში ამ ფუნქციას არასამთავრობო ორგანიზაციები ითავსებენ. გარდა ამისა, არსებობს განსხვავებები გამოიყენებულ ტერმინოლოგიაში, მაგალითად: "ხარისხი"-ს განმარტებაში, სისტემის დანიშნულებასა და ფუნქციაში, მათ შორის, სტუდენტების, ინსტიტუციების ან პროგრამების დაფინანსებასთან ბმაში, ხარისხის უზრუნველყოფას და აკრედიტაციაში გამოიყენებულ მეთოდოლოგიაში, პასუხისმგებელი ორგანიზაციი ან ერთეულის ფარგლებსა და ფუნქციებში, მონაწილეობის ნებაყოფლობით ან სავალდებულო ხასიათში. ამ მრავალფეროვნების პატივისცემის პარალელურად, ორივე ქვეყნის (როგორც გამგზავნის ისე მიმღების) კოორდინირებული ძალისხმევაა საჭირო როგორც რეგიონალურ, ისე გლობალურ დონეზე, რათა გადაილახოს ტრანსნაციონალური უმაღლესი განათლების მიწოდების ზრდის შედეგად წარმოქმნილი გამოწვევები.

ამ კონტექსტში რეკომენდებულია ხარისხისა და აკრედიტაციის ორგანიზაციებმა:

- ა) უზრუნველყონ, რომ მათი ხარისხის უზრუნველყოფის და აკრედიტაციის ღონისძიებები მოიცავდეს ტრანსნაციონალური განათლების მიწოდებას, მისი სხვადასხვა ფორმების გათვალისწინებით. ეს ნიშნავს იმას, რომ ყურადღება უნდა მიექცეს შეფასების სახელმძღვანელოს, სტანდარტებისა და პროცესების გამჭვირვალობის, თანამიმდევრულობისა და ეროვნული უმაღლესი განათლების სისტემასთან შესაბამისობის

უზრუნველყოფას, ასევე, ტრანსნაციონალური მიწოდების ადაპტაციის უნარს ცვლილებებისა და განვითარებისადმი.

ბ) მდგრადი გახადონ და გააძლიერონ არსებული რეგიონალური და საერთაშორისო ქსელები ან შექმნან ახალი ქსელები რეგიონებში, იქ სადაც ჯერ კიდევ არ არის არც ერთი. ეს ქსელები შეიძლება იქცეს პლატფორმად ინფორმაციისა და კარგი გამოცდილების გაცვლისათვის, ცოდნის გავრცელებისა და გაღრმავებისათვის, საერთაშორისო განვითარებისა და გამოწვევების გააზრებისათვის, აგრეთვე მათი პერსონალისა და ხარისხის შემფასებლების პროფესიონალიზმის ამაღლებისათვის. ეს ქსელები, ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნეს ცუდი რეპუტაციის მქონე პროვაიდერებისა და საექვო ხარისხის უზრუნველყოფისა და აკრედიტაციის ორგანიზაციების შესახებ ინფორმაციის მოპოვებისათვის, ისევე როგორც მონიტორინგისა და ანგარიშების სისტემების განსავითარებლად.

გ) ჩამოაყალიბონ კავშირები გამგზავნი ქვეყნისა და მიმღები ქვეყნის ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობის განმტკიცებისა და ხარისხის უზრუნველყოფის და აკრედიტაციის სხვადასხვა სისტემების ურთიერთგაგების გაღრმავების მიზნით. ამან შესაძლოა ხელი შეუწყოს მიწოდებული პროგრამებისა და ტრანსნაციონალური მიმწოდებლების ხარისხის უზრუნველყოფის პროცესს, ამავდროულად პატივისცემით მიმღები ქვეყნის ხარისხისა და აკრედიტაციის სისტემებისადმი.

დ) უზრუნველყონ შეფასების სტანდარტების, პროცედურებისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გავლენის თაობაზე სტუდენტების, ინსტიტუციებისა და პროგრამების დაფინანსების საკითხებზე, ზუსტი და ადვილად ხელმისაწვდომი ინფორმაციის მიწოდება. ხარისხის უზრუნველყოფის და აკრედიტაციის ორგანიზაციებმა უნდა ითანამშრომლონ სხვა აქტორებთან, განსაკუთრებით უმაღლეს სასწავლებლებთან/ პროვაიდერებთან, აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტურ ორგანიზაციებთან და აკადემიური აღიარების ორგანიზაციებთან, რათა ხელი შეუწყონ ამგვარი ინფორმაციის გავრცელებას.

ე) ისარგებლონ არსებულ საერთაშორისო დოკუმენტებში ასახული პრინციპებით, როგორცაა იუნესკო/ევროპის საბჭოს კოდექსი „ტრანსნაციონალური განათლების მიწოდებაში კარგი გამოცდილების“ თაობაზე.

ვ) მიაღწიონ ურთიერთაღიარების შეთანხმებას სხვა ორგანიზაციებთან ერთმანეთის პროფესიული გამოცდილებისა და ნდობის საფუძველზე, შეიმუშაონ შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემები და რეგულარულად დაექვემდებარონ გარე შეფასებებს, დაინტერესებულ მხარეთა კომპეტენციების სრული გამოყენებით. სადაც შესაძლებელია, განიხილონ ექსპერიმენტების ჩატარება საერთაშორისო შეფასებაში ან მონაწილეობა ხარისხის შეფასებისა და აკრედიტაციის ორგანიზაციების ექსპერტთა საქმიანობაში.

ზ) განიხილოს საერთაშორისო საექსპერტო პანელების შემადგენლობის შერჩევის პროცედურების მიღება, სტანდარტების, კრიტერიუმებისა და პროცედურების

საერთაშორისო ბენჩმარკინგის, კრიტერიუმებისა და შეფასების პროცედურების მიღება და სხვადასხვა ხარისხის უზრუნველყოფის ორგანიზაციებთან ერთად ერთობლივი შეფასების პროექტების განხორციელება, რათა გაიზარდოს შეფასების საქმიანობის სადარობა.

TNE_QA სახელმძღვანელო პრინციპები ხარისხის უზრუნველყოფის და აკრედიტაციის ორგანიზაციებისათვის

- I. ტრანსნაციონალური მიწოდების ხარისხის უზრუნველყოფა სომხეთსა და საქართველოში უნდა იქნეს ნათლად აღწერილი ეროვნული დონის პოლიტიკაში და შესრულებული სამ განსხვავებულ დონეზე:
 - ა) დაწყების დონე: ლიცენზია
 - ბ) დანერგვის დონე: მონიტორინგი და მონაცემთა მიწოდება
 - გ) ანგარიშვალდებულების დანიშნულება: ტრანსნაციონალური მიწოდების აკრედიტაცია.
- II. ტრანსნაციონალური პროვაიდერების გარე ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო პრინციპები უნდა იყოს შემდეგი:
 - ა) გამჭვირვალობა და საჯარო ინფორმაცია;
 - ბ) შეფასების თანმიმდევრულობა;
 - გ) მიწოდების შედარება;
 - დ) სიზუსტე მონაცემთა შეგროვებასა და ანალიზში.
- III. სომხეთისა და საქართველოს, ANQA-ს და NCEQE-ს უნდა ჰქონდეთ შემუშავებული მკაფიო პოლიტიკა, სადაც აღწერილი იქნება მათი როლი სხვადასხვა ტიპის ტრანსნაციონალური პროვაიდერების აკრედიტაციისა და ხარისხის უზრუნველყოფის სფეროში.
- IV. ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოებმა უნდა შეიმუშაონ ტრანსნაციონალური უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის კრიტერიუმები, რომელიც დაეფუძნება "დასაშვები განსხვავების" პრინციპს, რაც მრავალფეროვნებისა და ინოვაციის შეტანის საშუალებას მისცემს ადგილობრივი უმაღლესი განათლების მიწოდებაში.
- V. ტრანსნაციონალური განათლების პროვაიდერების და მათი პროგრამების აღიარების პოლიტიკის შესაქმნელად თანხვედრა უნდა მოხდეს როგორც ინსტიტუციურ, ისე პროგრამულ დონეზე. მათ შეუძლიათ მოიცვან შემდეგი მექანიზმები:
 - ა) ერთობლივი მიმოხილვები;
 - ბ) ორმხრივი აღიარება;

გ) უცხოური ხარისხის უზრუნველყოფის პროვაიდერის მიერ ჩატარებული დამოუკიდებელი გარე მიმოხილვის აღიარება;

დ) დამოუკიდებელი მიმოხილვა ეროვნული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის პროვაიდერის მიერ.

თითოეული ამ მექანიზმისთვის, ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოს მოუწევს დაუშვას შესაბამისი პროცედურა, რომელსაც უნდა მისდიოს ტრანსნაციონალურმა პროვაიდერმა.

- VI. განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოებმა უნდა დააარსონ ქვე-კომიტეტები ეროვნული დონის აკრედიტაციის კომისიებთან, რომლებიც იურთიერთებენ ტრანსნაციონალურ განათლებასთან. ქვეკომიტეტის წარმომადგენელმა უნდა უზრუნველყოს ტრანსნაციონალური განათლების დაინტერესებული მხარეების თანაბარი მონაწილეობა.
- VII. განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოებს უნდა ჰქონდეთ თანამშრომლობის მკაფიო მექანიზმები კვალიფიკაციის მინიჭების და აღიარების ორგანიზაციებთან და უნდა იყვნენ წარმოდგენილი ამგვარ ორგანიზაციებში ეროვნულ დონეზე.
- VIII. განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოებს უნდა ჰყავდეთ გადაწყვეტილების მიმღები ორგანოში ტრანსნაციონალურ განათლებასთან დაკავშირებული ეროვნული სტუდენტური ორგანიზაციების წარმომადგენლობა.
- IX. განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოებმა უნდა შეაგროვონ შესაბამისი მონაცემები ტრანსნაციონალურ განათლებაზე და რეგულარულად მოამზადოს ტრანსნაციონალური განათლების მიწოდების შესახებ ანგარიშები.
- X. განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოები უნდა იყვნენ სააგენტოების ეროვნული, რეგიონალური და საერთაშორისო ქსელების ნაწილი და უზრუნველყონ ტრანსნაციონალური პროვაიდერების რეგიონალური და საერთაშორისო ქსელების შესაბამისი მკაფიო თანამშრომლობის მექანიზმები, რათა უზრუნველყონ ტრანსნაციონალური განათლების პროვაიდერების თაობაზე საჭირო ინფორმაციის თავისუფალი და გამჭვირვალე გაცვლა.

5. აკადემიური აღიარების ორგანიზაციების პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპები

UNESCO / OECD სახელმძღვანელო პრინციპები აკადემიური აღიარების ორგანიზაციებისათვის

კვალიფიკაციის აღიარების შესახებ იუნესკოს რეგიონული კონვენციები წარმოადგენენ მნიშვნელოვან დოკუმენტებს უმაღლესი განათლების კვალიფიკაციის სამართლიანი

აღიარებისთვის, მათ შორის სტუდენტების ქვეყნებს შორის მობილობის შედეგად მინიჭებული უცხოური კვალიფიკაციების შეფასების, პროფესიული უნარებისა და ტრანსნაციონალური განათლების მიწოდების კუთხით.

